



MES 7 20 0001046423



28/10/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 13.10.2020

სხდომის დაწყების დრო: 16:15 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:50 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (I საკითხი)

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (II, III საკითხი)

საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ევალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
13. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
14. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეონა ხუფენია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ბელა მოსია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
3	ზაალ ქორთუა		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	I
4	იოსებ ზარანდია		პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	ქეთევან ლატარია		ფაკულტეტის დეკანი	I
6	ლალი კინწურაშვილი		ასოცირებული პროფესორი	I
7	ზურაბ ქემოკლიძე		ასოცირებული პროფესორი	I
8	ბადრი ნანეიშვილი		ასოცირებული პროფესორი	I
9	ენვერ არველაძე		ასოცირებული პროფესორი	I

10	დალი დარასელია		ფარმაცევტი	I
11	ეკა დოღბაია		ფარმაცევტი	
12	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	II, III
13	ლევან მიდოდაშვილი		ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III
14	ციური დურული		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	II, III
15	სოსო ალიმბარაშვილი		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II, III
16	ქეთევან ბარბაქაძე		ქართული ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	II
17	ზურაბ ჩხიკვაძე		ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ცოტნე სამადაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნათია კვიციანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ინგა დიაკონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი - სოფიკო ქურასბედიანი

ცვლილების არგუმენტაცია - დღის წესრიგით განსაზღვრულ, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვაში ექსპერტები ვერ იღებდნენ მონაწილეობას, საბჭომ კი მნიშვნელოვნად მიიჩნია აღნიშნული საკითხის განხილვაში ექსპერტების მონაწილეობა, რის გამოც საკითხის განხილვა გადაიდო მომდევნო უახლოეს საბჭოზე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 27 ნოემბრის N710 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, სამეგრელო - ზემო სვანეთი, ზუგდიდი, 2100, ჯანაშიას ქუჩა N14
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ცოტნე სამადაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელდა 2020 წლის 10 ივლისს. ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

1. უსდ თვითშეფასების დოკუმენტში მიზანი გაწერილია ნათლად, თუმცა მისი მიღწევა, შესაბამისი ცვლილებების და გადახალისების გარეშე, როგორცაა პერსონალი, თავად პროგრამა, მატერიალურ ტექნიკური ბაზა მიღწევადი ვერ იქნება;
2. აქვე აღსანიშნავია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც გარკვეულწილად მიეხმარებოდა უსდ - ს აღნიშნული პროგრამის მიზნების მიღწევაში;

3. რეკომენდირებულია მატერიალურ ტექნიკური ბაზის დახვეწა, პროგრამის განახლება და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოდერნიზება, რაც აღწერილ სწავლის შედეგებს რეალისტურს აქცევს;
4. რეკომენდებულია პრაქტიკული ნაწილის ზოგადად, ასევე პრაქტიკული კურსის სწავლის შედეგების და სტუდენტთა შეფასების უფრო მეტად ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც გაამარტივებს და იოლს გახდის მათ ინტერპრეტირებას პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით;
5. რეკომენდებულია ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი მკაფიოდ (არა ზოგადად) აღწერდეს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას და იყოს უფრო მეტად კონკრეტული და გაზომვადი;
6. რეკომენდებულია უფრო მეტი კოორდინაცია და თანამშრომლობა პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების წარმომადგენლებთან;
7. რეკომენდებულია, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსები აისახოს/განაწილდეს იერარქიული საფეხურის დაცვით (საბაზისოდან რთულისკენ), მაგ: ფარმაცევტული ინფორმაცია გადავიდეს არჩევითში, ფარმაცევტული დახმარება გადავიდეს ძირითადში საბაკალავრო სწავლების 1 ან 2 სემესტრში, ასევე გადამოწმდეს სასწავლო კურსის სოციალური ფარმაცია, ფარმ. საქმის ორგანიზაცია და ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“- სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა და სილაბუსის ავტორთან ერთად მოხდეს შეთანხმება სასწავლო კურსის კურიკულუმში ასახვის „მიზნობრიობასთან“ დაკავშირებით;
8. სასწავლო პროგრამაში მითითებული სამი ძირითადი საგანი: სოციალური ფარმაცია, ფარმაციული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები შინაარსობრივად ერთი საგანია და სასურველია მათი გაერთიანება ფარმაციული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკის სახელწოდების ქვეშ;
9. წამლის ტექნოლოგიის ასეთი სახით დაყოფა: სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია, წამლის სამრეწველო ტექნოლოგია, გალენური პრეპარატების ტექნოლოგია, პროცესები და აპარატები ფარმაცევტულ მრეწველობაში თემატურად და შინაარსობრივად ვერ გადის სწავლის შედეგების კომპეტენციაზე (სასწავლო კურსების დონეების რუკის შედეგებთან);
10. არჩევითი საგნიდან უნდა მოხდეს მაპროფილებელი საგნის - ფარმაცევტული ზრუნვის გადმოტანა ძირითადში და ძირითადი საგნების ნუსხიდან ფარმაცევტული ინფორმაციის და ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობის საგნის გადატანა არჩევითში;
11. რეკომენდებულია, კურიკულუმში სწორად გაიმიჯნოს და აისახოს სპეციალობის ძირითადი/სავალდებულო/არჩევითი კურსები;
12. რეკომენდებულია ახალი სასწავლო დისციპლინების დამატება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთვრებულის დასაქმებას და კარიერულ ზრდას, რეკომენდებულია ახალი მაპროფილებელი საგნების შემოტანა, რომელიც დაეხმარება სტუდენტს ცოდნის დაუფლებასა და დასაქმებაში;
13. რეკომენდებულია ზოგი საგნის შერწყმა და ამოღება;
14. რეკომენდებულია სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები შერჩეული და მორგებული იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.;
15. რეკომენდებულია სწავლის შეფასების სისტემის და მეთოდების დახვეწა და გამრავალფეროვნება;
16. აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა;
17. აუცილებელია საგნის სწავლება პედაგოგის კვალიფიკაციიდან გამომდინარე;
18. სასურველია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების განახლება, რათა უფრო მეტად პასუხობდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას;

19. პროგრამის ხელმძღვანელებმა და ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად უნდა წახალისოს სტუდენტების ინიციატივები, რათა მოხდეს მათი ჩართვა სამეცნიერო პროექტებში და უნივერსიტეტის კულტურულ ღონისძიებებში;
20. საწარმოო პრაქტიკისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ლაბორატორიების შექმნა და გაუმჯობესება;
21. ინტერნაციონალიზიის ხელშეწყობა;
22. აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში;
23. პროგრამის სამეცნიერო კვლევებში ჩართულობა;
24. რეკომენდირებულია უსდ მეტი იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
25. გაცვლითი პროგრამები პროფესორ მასწავლებლებისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს პროგრამის შემდგომი დახვეწისა და მდგრადობისათვის, რაც პერსონალის მაღალი კვალიფიკაციით იქნება განპირობებული;
26. პროგრამის განხორციელებისათვის და სწავლის შედეგებზე გასასვლელად უსდ საჭიროებს ლაბორატორიების არსებობას, სადაც სტუდენტი მინიმალური პრაქტიკული ჩვევების განვითარებას შეძლებს;
27. პროგრამის განხორციელებისათვის და სწავლის შედეგებზე გასვლისთვის უმნიშვნელოვანესია პრაქტიკული კომპონენტი, რაც მხოლოდ შესაბამის ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და მისი მუდმივი მონიტორინგით არის შესაძლებელი;
28. უსდ საჭიროებს მუდმივად განახლებად ბიბლიოთეკას და სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის მოდერნიზებას;
29. სტუდენტთა პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
30. გადაიხედოს სწავლება/სწავლის მეთოდები სილაბუსებში და ნაჩვენები იქნეს როგორ იზომება მათი გამოყენებით სწავლის შედეგები;
31. მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლება/სწავლის იმ მეთოდებს, რომლებიც ანალიტიკური აზროვნების განვითარებას უზრუნველყოფს სტუდენტებში;
32. რეკომენდებულია სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება სტუდენტის ცოდნის უკეთესად შეფასების მიზნით;
33. შეფასების კომპონენტები და მეთოდები მოვიდეს სასწავლო კურსების სპეციფიკასთან შესაბამისობაში;
34. სასწავლო კურსების შეფასებაში დეტალურად გაიწეროს პრაქტიკულ/ ლაბორატორიულ მუშაობებზე სტუდენტის აქტივობის ფორმები და მათი შეფასების კრიტერიუმები;
35. ფარმაციის ბაკალავრის სტუდენტების მეტი ჩართულობა თვითმმართველობის საკითხებში და საერთაშორისო ღონისძიებებში;
36. მეტი გარე ხარისხის შეფასების ჩატარება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზეც;
37. სისტემური გამოკითხვის შედეგებზე დაფუძნებული სწავლის პროცესში შეტანის/გაუმჯობესების პროცესის ეტაპობრივი აღწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორი, თეონა ხუფენია მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს, მან საბჭოს წევრებს სთხოვა, ყურადღება გაემახვილებინათ თვითშეფასების დოკუმენტზე, რომელზეც მუშაობდა თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი, სანამ პროგრამას წარადგენდნენ სააკრედიტაციოდ. მისი თქმით, პროგრამის ობიექტური თვითშეფასებაა, როდესაც,

თვითშეფასების ჯგუფი განსაზღვრავს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, მისი თქმით, სამოქმედო გეგმაშია აღწერილი პროგრამის განვითარების გეგმა (გასაუმჯობესებელი მხარეები), თვითშეფასებაში ასახული გასაუმჯობესებელი მხარეები ნაწილობრივ ემთხვევა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებულ დასკვნას, თუმცა ის, რომ პროგრამა მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და მოდიფიცირდეს ბაზრის დაკვეთისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მუდმივად უნდა იყოს პროფესიული ნიშნით მომზადებული/გადამზადებული და პროგრამა მუდმივად გაძლიერდეს ახალი აკადემიური პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, დაწესებულების წარმომადგენლები აბსოლუტურად ეთანხმებიან, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომ დაწესებულება მუდმივად განვითარებას აწერს ხელს, რაც გაწერილია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

დაწესებულების რექტორმა, თეონა ხუფენიამ ადმინისტრაციულ ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტები დასაწყისშივე თვლიდნენ, რომ უნივერსიტეტის პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია მისიასთან, მაგრამ არ არის ორიენტირებული კურსდამთავრებულების კვალიფიკაციაზე, ექსპერტების აღნიშნული მოსაზრება დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გაუგებარია, რადგან მათ მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა 72.7% მათი კურსდამთავრებულები შეადგენენ., შესაბამისად, ისინი პასუხობენ ბაზრის მოთხოვნებს. როგორც მან აღნიშნა პროგრამის შეფასება ხდება კვლევის შედეგებით, დასაქმების მაჩვენებლით, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით, რამაც მათ დაანახათ, რომ უნდა გააძლიერონ სწორედ პრაქტიკული კომპონენტის ორიენტაცია და სწორედ ამაში დაეთანხმა დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფს და არა იმაში, რომ მათ არ აქვთ ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული პროგრამა, ან არ აქვთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისი თქმით, როდესაც 2018 წელს უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია, ამ კუთხით მას ჰქონდა სრული შესაბამისობა სტანდარტთან, ასევე, 2018-დან 2020 წლის ჩათვლით მატერიალურ - ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდა თანამედროვე ტექნოლოგიებით. ლაბორატორიებთან დაკავშირებით ის დაეთანხმა ექსპერტებს, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ვიდრე დაწესებულება მიიღებდა ექსპერტების დასკვნას მათ ორი ლაბორატორია შეიძინეს, მაგრამ, არა იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ ღნიშნული პროგრამის პრაქტიკის განხორციელების დეფიციტი, არამედ ეს არის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც ახორციელებენ არამარტო საბაკალავრო, არამედ პროფესიულ საგანმანათლებლო და ინტეგრირებულ პროგრამებს. მისი თქმით დღეს უნივერსიტეტში უკვე სამი ლაბორატორიაა, ორი ფარმაციის და ერთი ინტეგრირებული პროგრამის, ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის მიმართულებით, რაც ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს იმ ნაწილში, რომ მუდმივად უნდა განვითარდნენ, როგორც მან აღნიშნა, ის, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ლაბორატორიულ სამუშაოებს პასუხობს ამას აბსოლუტური პასუხისმგებლობით აცხადებს, მათ დოკუმენტებშიც წარადგინეს არსებული, რეალური ინვენტრიზაციისა და შესყიდვების დამადასტურებელი საბუთები, რომლებსაც ფლობდა ლაბორატორია ვიზიტის დროს.

დაწესებულების რექტორის, თეონა ხუფენიას თქმით, ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების დანართებს, აკლდა პრაქტიკოსი ფარმაცევტების CV-ები, ანუ არ იყო მითითება, რომ პრაქტიკოსი ფარმაცევტებიც არიან პროგრამაში, მაგრამ აღნიშნული დასტურდება ჩართულობის ოქმებში, ასევე ისინი იყვნენ ინტერვიურებაზეც. მისი მოსაზრებით, ექსპერტებს ალბათ ამიტომ გაუჩნდათ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით კითხვები, რომ იქ მხოლოდ დარგის კვალიფიკაციის მქონე პერსონალი იყო წარმოდგენილი და არა პრაქტიკოსი ფარმაცევტები, თუმცა ექსპერტებისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში იყო 13 აკადემიური და 14 მოწვეული პერსონალი, რომლებიც ემსახურებიან 60 სტუდენტს, შესაბამისად, მათი ადამიანური რესურსი აბსოლუტურად აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს. მისი თქმით, ამ ეტაპზე ფარმაციის მიმართულებით საშტატო ერთეულზე აქვთ გამოცხადებული კონკურსი, ოღონდ ეს

გულისხმობს არა მხოლოდ თეორიის, არამედ პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან, რაც ასევე ჩადებული აქვთ საკონკურსო პირობებშიც, რადგანაც კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევამ აჩვენა პრაქტიკული კომპონენტის ზრდის აუცილებლობა, მისი თქმით, პრაქტიკოსი ფარმაცევტები ჩართულები არიან, როგორც პროგრამის შემუშავებაში, ასევე განხორციელებაში, ხოლო პრაქტიკის ობიექტების მრავალფეროვნება წარდგენილია მომარანდუმებითა და ხელშეკრულებებით. მათთვის გაუგებარი იყო ჩანაწერი, თითქოს ზუგდიდის სივრცეში არ არსებობს აფთიაქი, ალბათ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, როგორც მან აღნიშნა, ზუგდიდში, მხოლოდ მუნიციპალიტეტში 30-ზე მეტი მსხვილი სააფთიაქო ქსელია, ხოლო რეგიონში აფთიაქების რაოდენობა არის 100-ზე მეტი, ხოლო აღნიშნულ აფთიაქებში დასაქმებული ადამიანების 73% კი მათი კურსდამთავრებულები არიან.

დაწესებულების რექტორის, თეონა ხუფენიას თქმით, პროგრამა მუდმივად განვითარების პროცესშია. აღნიშნული პროგრამის სასწავლო კურსები, მათ შორის სამი ახალი სასწავლო კურსი, საუნივერსიტეტო საგნები, რომლებიც უნივერსიტეტის ე.წ. „მესამე მისიის“ შესაბამისად ორიენტირებულია რეგიონის ღირებულებებისადმი, სწავლისა და კვლევის ინტეგრაცია, რომელიც Integrity-ს პროგრამის ფარგლებში კვლევების გაძლიერების თვალსაზრისით დამკვიდრდა, Turnitin-ის პროგრამა, სწავლის მეთოდები „Star-ის“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, აბსოლუტურად თავიდან, ყველა სასწავლო კურსი იქნა გადახალისებული და გამოყენებულ იქნა სწორედ ამ საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში დანერგილი და მომზადებული სახელმძღვანელოების შესაბამისად, ასევე, მოხდა სხვა ქვეყნების ანალოგიური პროგრამის გაზიარება, მისი თქმით, როდესაც აღნიშნული პროგრამა მზადდებოდა რეაკრედიტაციისთვის პრაქტიკული კომპონენტების, დამსაქმებლებისა და ზოგადად, კვლევის შედეგების ანალიზის გარდა, გამოიყენეს უცხოური გამოცდილებაც, ისინი ესაუბრნენ უტრეხტის უნივერსიტეტის ფარმაცევტული მეცნიერებების კოლეჯის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს, კოორდინატორს, რომელიც არის პროგრამის შედეგებზე პასუხისმგებელი პირი და მან გაუზიარა დაწესებულებას ფარმაციის პროგრამის შედეგები, რომელიც მათ, მოიყვანეს ქართულ სინამდვილესთან შესაბამისობაში, კვალიფიკაციის ჩარჩოსა და ბლუმის ტაქსონომიის ზმნებით აღწერილობაში და ასე წარადგინეს პროგრამა. რექტორმა განმარტა, თუ რატომ უსვამს ხაზს დეტალებს, მისი თქმით, ეს არის პროგრამის განვითარების გზა პროგრამის აკრედიტაციიდან რეაკრედიტაციამდე, ასევე, უნივერსიტეტი თავის სტრატეგიაში წერს, რომ არასდროს არ არის კმაყოფილი იმით, რაც არის, რადგან არ არსებობს პროგრამა, რომელიც მუდმივად განვითარებას/განახლებას არ ექვემდებარება, მისი თქმით, პროგრამა უნდა იყოს მუდმივად განახლების პროცესში.

თეონა ხუფენიამ ინტერნაციონალიზაციის ნაწილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ, როდესაც 2018 წელს გაიარა აცტორიზაცია, გრძელვადიან ხედვაში აღნიშნა ორი რამ, უწყვეტი განათლება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა 2018 წელს დაასახელეს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მექანიზმები, 2020 წელს (13 წლის უნივერსიტეტის სივრცეში) გაკეთებულია შემდეგი: 1. ხუთი საერთაშორისო პროექტი, ინსტრუქციური განვითარების პროექტების ფარგლებში დანერგილი კარიერის ცენტრი, ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის უცხო ენის შემსწავლელი ცენტრი, სადაც სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან გაცვლითი პროგრამებით, სადაც სამი ფარმაცევტი სტუდენტი უკვე მონაწილეობდა, სხვადასხვა ქვეყანაში, გარდა ამისა უფასოდ მიეწოდებათ კურსები უცხო ენის ცენტრში, ასევე პროექტის ფარგლებში - სწავლის მეთოდები, რომლის პროგრამაში დანერგვა რამდენიმე ქვეყნის გაზიარებით მოხდა, კარიერის ცენტრის ფარგლებში, საუნივერსიტეტო სივრცეში შემუშავდა უცხოენოვანი სასწავლო კურსი „დემოკრატია და მოქალაქეობა“ და „კარიერული მომზადების პროგრამა“, რაც ნიშნავს, რომ ორი სასწავლო კურსი უკვე არჩევითობის პრინციპით მიეწოდება სტუდენტს საუნივერსიტეტო

საგანთა ნუსხაში, 2019-2020 წელს პირველი ეტაპი ეს იყო საუნივერსიტეტო სივრცეში მიწოდებული, არჩევითი, ინგლისურენოვანი კურსები, ასევე დანერგილია უცხოური გამოცდილება პროგრამის შემუშავებაში, როგორც მეთდიკების, ისე შეფასების მეთოდოლოგიების ნაწილში. პროგრამის მომზადების ნაწილში რეაკრედიტაციის ნაწილში გაზიარებულია რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება, თუმცა უტრეხტის უნივერსიტეტის გამოცდილება ყველაზე რელევანტური აღმოჩნდა, რომ გაეთვალისწინებინათ, მოესმინათ და გაეზიარებინათ ნაწილობრივ მაინც.

კურიკულუმის გარეთ აქტივებთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ტარდება სხვადასხვა ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი აქტივობა. ასევე, ისინი ელოდებიან ერთ-ერთ უცხელ პროფესორს, სამი პროფესორი უკვე იყო ჩამოსული, სამ-სამი თვით, რომლებიც უცხო ენაზე საუნივერსიტეტო მასშტაბით კითხულობდნენ ლექციებს. მისი თქმით, ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტს ამ ეტაპზე სერიოზული ნაბიჯები აქვს გადადგმული.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულობასთან დაკავშირებით, რექტორმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული, როგორც დამსაქმებლები ისე, სტუდენტი. დამსაქმებლების ინტერესი იყო არა მარტო პრაქტიკის ობიექტის ნაწილი, არამედ შიდა სასწავლო პროცესში ჩართულობა და სწორედ მათი რეკომენდაციების მიხედვით მუშაობს დაწესებულება ბაზარზე მოთხოვნადი, ახალი სასწავლო კურსების შემუშავებაზე, რაც აისახება დაწესებულების განვითარების გეგმაში. ჩართულობის ნაწილში, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციით მოხდა მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება დაწესებულების სრული პასუხისმგებლობით, რადგან დაემთხვა პანდემიის პერიოდი და ძალიან რთული იყო ადამიანური რესურსის ხშირი ჩასვლა რეგიონში, ამიტომ ადმინისტრაციამ თავის თავზე აიღო, რომ იურიდიული მხარე გაეფორმებინა თვითონ და პროგრამის შემუშავებაში თითოეული სიტყვა, რომელიც შეიცვალა არის პროფესორებისა და პრაქტიკოსი ფარმაცევტების მიერ შესრულებული.

დაწესებულების რექტორის თქმით, ერთი თვის წინ მან რექტორთა კონფერენციაზე განაცხადა, რომ უნივერსიტეტი გამოირჩევა იმით, რომ მორგებულია თითოეულ სტუდენტზე და ორიენტირებულია მათზე, არსებობს სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც განპირობებულია აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტების მრავალრიცხოვნობით, მისი თქმით, უნივერსიტეტში სტუდენტების 40% არის აფხაზეთიდან დევნილი, რომელთაც საერთო საცხოვრებლით, ბაგა-ბაღის ოთახით, ბავშვთა ოთახითა და სხვა სერვისებით ემსახურება უნივერსიტეტი. როგორც მან აღნიშნა, მათ კვლევების ნაწილში გააჩინეს პრეცედენტი, რომ სტუდენტის ნაშრომი „შრომათა კრებულში“ იბეჭდებოდა თავის პროფესორთან ერთად, ანუ, სტუდენტი თემას დაამუშავებს პროფესორთან ერთად და საერთო ნამუშევარი დაიბეჭდება, რაც მისი აზრით დიდი წახალისებაა, ასევე, მათ აქვთ ფულადი ჯილდოები, როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტში არის ძალიან ბევრი მექანიზმი, იმისათვის, რომ სტუდენტები იყვნენ მოტივირებულები. მან განმარტა, რომ რთულია ინტერვიუებაზე შერჩევით მოხვედრილი სტუდენტის დასკვნაზე საუბარი, რადგან მეორე კურსელმა, იმის გამო რომ მას ჯერ არ ჰქონია კვლევითი კომპონენტთან შეხება, არც იცის ლაბორატორიაში რა ხდება და ა.შ.

დაწესებულების რექტორის თქმით, რეგიონში ეს პროგრამა ძალიან მოთხოვნადი და მნიშვნელოვანი, მათ აბსოლუტური პასუხისმგებლობით ესმით, რომ პროგრამა უნდა იყოს ხარისხზე ორიენტირებული და სტანდარტების შესაბამისი, ამიტომ ადმინისტრაციის გუნდს, თვითშეფასების გუნდსა და აკადემიურ პერსონალს გააზრებული აქვს პასუხისმგებლობა და

აქვთ განვითარების გეგმა, სტრატეგია, რომ პროგრამა მუდმივად იყოს განვითარების რეჟიმში, მისი თქმით, უნივერსიტეტში ნამდვილად არსებობს მატერიალური და ადამიანური რესურსი, იმისათვის რომ პროგრამა შედეგზე გავიდეს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბელა მოსიამ უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების შესახებ გაცხადა, რომ პორტუგალიის უნივერსიტეტთან Erasmus+ის ფარგლებში, ელოდებიან პროფესორს მომდევნო სასწავლო წლის შემოდგომისთვის, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში ინტერდისციპლინურად, მომსახურების სფეროებთან დაკავშირებით სტუდენტებთან წაიკითხავს ლექციებს, რომელიც დასრულდება სერთიფიცირებით. მისი თქმით, მომსახურების სფერო მოიცავს, როგორც ფარმაცევტულ, ასევე საბანკო მიმართულებას, რომელიც მულტიდისციპლინურად იქნება განხილული, როგორც მან აღნიშნა, ამჟამად მიმდინარე საერთაშორისო პროექტი, რომელიც რეგიონული უნივერსიტეტების როლს ზრდის რეგიონის განვითარების საქმიანობაში და ორიენტირებულია სამი განსხვავებული პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის გამოცდილების ფარგლებში, შრომის ბაზრის კვლევის ჩატაერებაზე. რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებს ისეთ მთავარ დამსაქმებლებზე, როგორც არიან ფარმაცევტული ორგანიზაციები. მისი თქმით, ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ძლიერი მხარეა და აკრედიტაციის საბჭოს ალბათ ეს ბევრი ექსპერტისგან გაუგია, აღნიშნულ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინტეგრირებულია ინტერნაციონალიზაციის პროგრამასთან. მან ხაზი გაუსვა ახალ საერთაშორისო პროექტს, რომელიც არის ფსიქოლოგიური და სხვა ტიპის მხარდაჭერის სერვის-ცენტრის ამოქმედება უნივერსიტეტში, რომელიც პირდაპირ ორიენტირებულია ჯანდაცვის მიმართულებაზე, მისი თქმით, ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტები იქნებიან ჯანდაცვის ცენტრის ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბელა მოსიას თქმით Publons.com-ზე, რომელსაც ქართული აკადემიური სივრცე ძალიან კარგად იცნობს, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე რეგისტრირებულია, სადაც მათი ყველა, 27 ავტირებული პროფესორი წარმოდგენილია თავიანთი სამეცნიერო პროდუქტით. აქედან კი ფარმაციის მიმართულებით არის ხუთი პროფესორი, რომლებიც შეგიძლიათ სახელებით და გვარებით, მოძებნოთ და ნახოთ.

რაც შეეხება ლიტერატურის ნაწილს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ბელა მოსიას თქმით, პანდემიის პირობებში უნივერსიტეტისთვის სრულიად უფასოდ ხელმისაწვდომი იყო ძალიან საინტერესო, მსოფლიო ბიბლიოთეკები. ასევე, ის სრული პასუხისმგებლობით აცხადებს რომ ამჟამად ფარმაციის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი გაჯერებულია სხვადასხვა, უახლოესი ლიტერატურით.

როგორც მან აღნიშნა, მათ აქვთ, პროფესიულად მუდმივი განვითარების მიზნით, პედაგოგთა და აკადემიური პერსონალის განვითარების ცენტრი და პარალელურად, კვლევის ხელშეწყობის მიზნით, გააკეთეს აკადემიური პერსონალის მომსახურების ცენტრი, რომელიც გაიხსნა, როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის, ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად პლაგიატის „დეტექციაზე“, სამ წლიანი ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული Turnitin-ის ლიდერ ორგანიზაციებთან. მისი თქმით, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ძალიან საინტერესოდ აღიჭურვნენ შესაძლებლობით, თუნდაც პანდემიის პირობებში „ონლაინ“ შეფასების უკუკავშირებით, ანუ ეს მხოლოდამხოლოდ პლაგიატის „დეტექცია“ არ არის, პროგრამა გულისხმობს უკუკავშირებს, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება თავიანთი რეცენზირებები გააკეთონ და ეს ყველაფერი, მათ შეუძლიათ ელექტრონულად, ამ პროგრამის ფარგლებში. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამის „ფარმაციის“ პროფესორი ენვერ

არველაძე იყო „Star-ის“ პროგრამაში, მისი ინგლისურენოვანი ვიდეო შეგიძლიათ იხილოთ Youtube-ზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბელა მოსიამ ყურადღება გაამახვილა ერთ - ერთ რეკომენდაციაზე - „რეკომენდებულია, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსები აისახოს/განაწილდეს იერარქიული საფეხურის დაცვით (საბაზისოდან რთულისკენ), მაგ: ფარმაცევტული ინფორმაცია გადავიდეს არჩევითში, ფარმაცევტული დახმარება გადავიდეს ძირითადში საბაკალავრო სწავლების 1 ან 2 სემესტრში, ასევე გადამოწმდეს სასწავლო კურსის სოციალური ფარმაცია, ფარმ. საქმის ორგანიზაცია და ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“- სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა და სილაბუსის ავტორთან ერთად მოხდეს შეთანხმება სასწავლო კურსის კურიკულუმში ასახვის „მიზნობრივობასთან“ დაკავშირებით“მისი თქმით, ის, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი ჩართული იყო პროგრამის შემუშავების აქტიურ საქმიანობაში, მასაც ჰქონდა აქცენტები და ჩართული პირებისგან მიიღო აბსოლუტურად კომპეტენტური პასუხები, ისინი აღნიშნავდნენ, რომ აღნიშნული კურსების მსგავსი ტიპით წარმოდგენა არ არღვევს მათ მიზნობრივობას სასწავლო პროგრამის ფარგლებში და არც სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობას უშლის ხელს, ასევე ექსპერტის მითითება, რომ პროგრამაში მითითებული სამი ძირითადი საგანი: სოციალური ფარმაცია, ფარმაციული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები შინაარსობრივად ერთი საგანია და სასურველია მათი გაერთიანება ფარმაციული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკის სახელწოდების ქვეშ, არ ეთანხმება, მისი თქმით, წინა აკრედიტაციის რეკომენდაციებიდან გამომდინარე მოხდა მოდულში შემავალი აღნიშნული სასწავლო კურსების დაშლა ცალკეულ სასწავლო კურსებად, იყო მითითება თუ როგორ აისახოს მოდულის სწავლის შედეგები, როდესაც განცალკევდა ეს სასწავლო კურსები, პროგრამაზე. მათ ეს ყველაფერი ისე განსაზღვრეს, რომ არ დაზიანებულყო არსებული მისაღწევი სწავლის შედეგები, მისი თქმით, თუ დადგება მოდიფიცირების საჭიროება, უნივერსიტეტს ამ კუთხით აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება. მისი თქმით, საბოლოო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა არის ძალიან საინტერესოდ დაწერილი, იმ სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისად, რომელიც არის ძირითადად დარგის კომპეტენციებზე ორიენტირებული, ეს ძირითადად არის პრაქტიკული კურსები, რომლებიც წერილი კომპონენტით არის წარდგენილი და ასევე, პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები. სასწავლო კურსების წინაპირობების მკაცრად განსაზღვრა, თუნდაც რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში, მისი, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივით, რადგან მობილობის სტუდენტების გამოკითხვას აკეთებენ, ყველაზე მთავარი არის კრედიტების თავსებადობის საკითხი და ხშირად გარკვეული წინაპირობა ქმნის აბსოლუტურ შეუსაბამობას, ამიტომ წინაპირობების შემსუბუქება მობილობის სტუდენტებისა და უნივერსიტეტის საკმაოდ ხშირად არის წარმოდგენილი, ყოველი მობილობის დროს. მისი თქმით, უკანასკნელი მობილობის დროს საკმაოდ დიდი იყო მიღების მაჩვენებელი, მითუმეტეს გამოიკვეთა ფარმაციის პროგრამისადმი ინტერესი, თუმცა წინა წლების პრაქტიკიდან გამომდინარე, ხანდახან მობილობა უფრო მეტია, ვიდრე ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვა და თითქმის 80%-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით ამუშავებენ, ვინაიდან ამოვიდნენ სტუდენტთა ინტერესების დაცვის პრინციპიდან. როგორც მან აღნიშნა, განმავითარებელი შეფასებები, რუბრიკები, შეფასების კომპონენტები არის საკმაოდ მრავალფეროვანი ასევე, აქვთ ძალიან საინტერესო საპილოტე პროგრამა, ფარმაციის პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსს ახლავს სწავლის შედეგების შეფასების სპეციალური გამოკითხვის ფორმა, ეს განაპირობებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში თითოეული სტუდენტის ჩართულობას, ისინი შედეგების მიხედვით ნიშნავენ მიაღწია თუ არა და შეუძლია თუ არა განსაზღვროს რაღაც ცნებები, სტუდენტი კითხულობს და აკეთებს მონიშვნებს: დიახ, არა,

საერთოდ არაფერი სმენია, ამ შედეგების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მოქმედებებს. მისი თქმით, სწორედ ეს არ არის აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა, ზუსტად განსაზღვროს, თითოეული შედეგის მიღწევადობის დონე და შესაძლებლობები.

დაწესებულების რექტორმა, თეონა ხუფენიამ სტუდენტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პანდემიის პიოტში განხორციელდა სოციალური პროექტები რომლებშიც ფარმაციის სტუდენტები მოხალისეებად იყვნენ ჩართულები. ასევე განხორციელდა სოციალური კვლევები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად მთელ რეგიონში, მათ შორის სვანეთში სადაც ასევე, ფარმაციის სტუდენტი მონაწილეობდა, ასევე, კიდევ განხორციელდა პროექტი „ქუჩის მუსიკა“ პანდემიის პერიოდში, საზოგადოებისადმი მორალური მხარდაჭერის დასტურად, აღნიშნული პროექტები განხორციელდა მერიასთან ერთად იმ ღირებულებების ფარგლებში, რომლებიც უნივერსიტეტმა ე.წ. „მესამე მისიის“ ფარგლებში იტვირთა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ზარანდიამ, მის მიმართ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებთან დაკავშირებით საბჭოს მოახსენა, რომ ის პროფესიით არის ფარმაცევტი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის სრული კურსი, იყო სახელობითი სტიპენდიანტი, მისი თქმით ის, სტუდენტობის პერიოდიდანვე იყო ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში, ის, აკადემიკოსი ბიძინა ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა ფარმაკო-კინეტიკის ექსპერიმენტებზე, ისინი სწავლობდნენ წამლებს, იყვნენ პირველი მერცხლები, რომლებიც აკეთებდნენ ამ მიმართულებით ექსპერიმენტებს და წერდნენ ნაშრომებს. მან დისერტაცია წამლის ტექნოლოგიაში დაიცვა მოსკოვში. მას ასევე აქვს გამოგონება ფარმაცევტიკაში, რომელიც აღიარებულია - საქართველოში, უკრაინასა და რუსეთში, უკრაინაში სთხოვდნენ პატენტს და ფულს უხდიდნენ, რათა გამოეცათ აღნიშნული სამკურნალო საშუალება, ეს მოხდა ხარკოვში რამდენიმე წლის წინ. როგორც მან აღნიშნა, ის არის საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღნიშნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო რამდენიმე წლის განმავლობაში. მან აღნიშნა, რომ მისი ნაშრომების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 35, რომლებიც გამოქვეყნებულია ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე. მან აღნიშნა, რომ იყო გამოთქმული აზრი, რომ ფარმაციის პროგრამაში ზოგიერთი საგანი არ შეესაბამება განვითარებისა და იერარქიის მიხედვით სწავლების იმ ეტაპს, რომელზეც ისინი ისწავლება, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში მოწოდებულია, რომ ზოგიერთი საგანი გადატანილ იქნეს არჩევითში, ან პირიქით, მაგ., საგანი „ფარმაცევტული დახმარება“, რომელიც აბსოლუტურად ახალი საგანია. როგორც მან აღნიშნა, ამ მიმართულებით სახელმძღვანელო გამოვიდა წელს, პროფესორი თამაზ ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით, თვითონ წიგნი, გლობალური მონაცემებით არ ხასიათდება, თუმცა ეს არის პირველი წიგნი. მათ აღნიშნული საგანი ჰქონდათ არჩევით საგნად და ექსპერტების რეკომენდაცია, რომ გადაიტანონ ძირითადი საგნების ნუსხაში, როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებისთვის აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება არ არის პრობლემა, ისინი ყველა შემთხვევაში გავლენ ერთიდაიგივე შედეგზე, მიუხედავად იმისა როდის ასწავლიან აღნიშნულ საგანს. მისი თქმით, აღნიშნული სასწავლო კურსი შეტნაილი იყო მეოთხე კურსზე და მოწოდებული იყო მისი პირველ სემესტრში სწავლება, მისთვის გაუგებარია, რას აძლევს სტუდენტს აღნიშნული საგნის პირველ სემესტრში გადატანა, როდესაც პირველკურსელმა სტუდენტმა არ იცის რას ნიშნავს ფარმაკოლოგია, ფარმაცევტული ქიმია, არ იცის ზოგადად წამალი, მისი მიღების გზები, ზოგადად ეს საგანი ერთიანდება წამალთა ტექნოლოგიის ზოგად, მთლიან სისტემაში.

ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ზარანდიამ განაცხადა, რომ, არსებობს ექსპერტების რეკომენდაცია, რომ

ეს საგანი არ უნდა იყოს სავალდებულო და უნდა იყოს არჩევითი, მისი მოსაზრებით შესაძლებელია აღნიშნული საგნის არჩევით ბლოკში განთავსება, თუმცა ეს საგანი იმდენად არის სავალდებულო საგნად მიჩნეული, რომ აქ მხოლოდ საქონელმცოდნეობა არ არის, აქ არის მენეჯმენტის გარკვეული ელემენტები შეტანილი, რათა ფარმაცევტები, რომლებიც აფთიაქში მუშაობენ და უნდა იმუშაონ, უნდა იცოდნენ მენეჯმენტის კუთხით როგორ მართონ აღნიშნული საქონელი, შეაფასონ მისი დოკუმენტაცია, ასევე, გარდა იმისა, რომ საუბარია ხარისხზე და რომელსაც ასევე ასწავლან, შეფასებულ უნდა იყოს მენეჯმენტის კუთხე, რომლის მიხედვითაც სამედიცინო საქონელი საკმაოდ დიდი ჯგუფია და მისი არ სწავლება მას არასწორად მიაჩნია, რადგან ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი და დღევანდელ სააფთიაქო ბრუნვაში 10-20% არის ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელბრუნვა, რომელიც მოიაზრებს, როგორც ღია, ასევე დახურულ აფთიაქებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ცოტნე სამადაშვილმა განაცხადა, რომ მას ეჭვქვეშ არ დაუყენებია იოსებ ზარანდიას კვალიფიკაცია, მისი თქმით კარგი ფარმაცევტი არ არის პირდაპირ კავშირში კარგ პროგრამის ხელმძღვანელთან, შესაძლებელია იყო კარგი ექიმი, მაგრამ ვერ იყო მედიცინის ფაკულტეტის კარგი დეკანი. მისი თქმით ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს პროგრამაზე, მის სტრუქტურაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდუმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, პროგრამის ხელმძღვანელი შინაარსობრივი თვალსაზრისით უნდა იყოს კვალიფიციური, შესაძლოა დაწესებულებამ ამ მიმართულებით გაიგო რეკომენდაციების შინაარსი.

საჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრე პირებს, რომ პასუხი გასცენ დასკვნაში აღნიშნულ კორექციონებს.

იოსებ ზარანდიამ, უნივერსიტეტის ქიმიურ ლაბორატორიებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ფარმაცევტები ანალიზებს აკეთებენ ანალიზურ ლაბორატორიებში, მათ შეუძლიათ ისეთი ანალიზების გაკეთება, როგორცაა ქიმიური, ჩვეულებრივი ფიზიკური, ოპტიკური ანალიზი, გარდატეხის მაჩვენებლებით ანალიზი, წონითი მნიშვნელობებით ანალიზი, მოლეკულური წონის განსაზღვრის ანალიზი და კიდევ მრავალი. მისი თქმით, ზემოთ ჩამოთვლილი ანალიზის სახეობები, ანალიზის ის მეთოდებია, რომლებიც აუცილებლად უნდა კეთდებოდეს საუნივერსიტეტო ლაბორატორიაში, აღნიშნული ანალიზების ჩატარების ცოდნა უზრუნველყოფს ბაკალვრმა აითვისოს ყველა ის კომპონენტი, რაც ფარმაცევტს სჭირდება ტოქსიკოლოგიური ანალიზისა და ფარმაგნოსტიკური ანალიზისათვის, რაც შეეხება წამალთა ტექნოლოგიური კუთხით ანალიზებს და ის მსვლელობა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს, მისი თქმით, აღნიშნული სისტემით სწავლა აბსოლუტურად უზრუნველყოფს იმას, რომ კურსდამთავრებული ევროპაში წასვლის შემთხვევებშიც კი აბსოლუტურად მომზადებული დახვდება, როგორც მედიცინაში, ასევე ფარმაცევტიკაში არსებულ გამოწვევებს. როგორც მან აღნიშნა, არსებობს „გაიდლაინი“ მას ეწოდება „ფამაკოფის სტატია“, რომელიც ყველა ქვეყანაში არსებობს და შესაბამისად ამის მიხედვით აკეთებენ წამალსაც და ასევე, აკეთებენ მის შეფასებასაც შესაბამისი დოკუმენტაციის სახით. აღნიშნული „გაიდლაინები“ დროთა განმავლობაში იცვლება, ისევე როგორც ლიტერატურა, პროგრამა განიცდის განახლებას, მან აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ესაუბრებიან თანამედროვე მეთოდებზე, რომლებიც ინტერნეტში მოიძიეს, ან შესაძლებელია საერთოდ არ იყოს ინტერნეტში, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, საქართველო არ არის იმდენად ჩამორჩენილი ქვეყანა რომ სხვა ქვეყნებს უყურებდეს ყველაფერში, მას, საკმაოდ ძლიერი ფარმაცევტული სკოლა აქვს, სადაც ოდითგანვე იქმნებოდა წამლები, რომლებიც საკმაოდ კონკურენტუნარიანია. მისი თქმით, ფარმაკოქიმიის საწარმოო ერთეულში ისეთი წამლები მზადდება, რომლებსაც მსოფლიოში არ ჰყავს ანალოგი, აღნიშნული წამლები, ნედლეულიდან დაწყებული ბოლომდე

საქართველოშია გაკეთებული და აღნიშნული წამლები სპეციალისტებისა და ლაბორატორიების მუშაობის შედეგია. ეს შედეგები აქ არის და მათი გაცნობა შესაძლებელია აღნიშნული უნივერსიტეტის ლაბორატორიაშიც, მისი თქმით, პრაქტიკა ყოველთვის ვითარდებოდა, ადრე არსებობდა ბათუმის ფარმაცევტული ქახანა, დღეისთვის უკვე არსებობს თბილისის ფარმაცევტული ქარხნები, რომელთანაც მათ გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები, აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მოხდება თანამედროვე კუთხით აღნიშნული წამლების მიღება, არის კიდევ ერთი ლიოფილური შრომით მიღებული წამლები, რომლებიც იწარმოება ფარმაცეპტივის ინსტიტუტში, აგრეთვე ბაქტერიოფაგში და დაწესებულებას აქვს ურთიერთობები გარკვეულ ლაბორატორიებთან და ამის საფუძველზე უზრუნველყოფენ მაღალი კვალიფიკაციისა და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი პასუხებისთვის სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ცოტნე სამადაშვილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ცოტნე სამადაშვილმა განაცხადა, რომ ძალიან დიდ პატივს სცემს რეგიონალურ პოლიტიკას, აფხაზეთიდან გადმოდის ბევრი სტუდენტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და სტრატეგიულია, თუმცა როგორც მან აღნიშნა, ექსპერტებს პროგრამა არ შეუფასებიათ, რეგიონალურ/პოლიტიკურ რაკურსში. მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება საბჭომ უნდა მიიღოს. როგორც მან აღნიშნა ექსპერტთა ჯგუფმა გააკეთა შემდეგი ანალიზი : ბაზრის მოთხოვნა და დასაქმების კოეფიციენტი მაღალია და ეს მათთვის სასიხარულოა, თუმცა ფარმაცევტული საქმიანობისა და ბაკალავრიატისთვის მოთხოვნები უფრო მეტია, ვიდრე ვთქვათ დასაქმების კოეფიციენტი. როგორც მან აღნიშნა, თვითშეფასების დოკუმენტიდან მიღებული შთაბეჭდილება არ დაემთხვა ადგილზე ინტერვიუების შემდეგ მიღებულ შთაბეჭდილებას, მისი თქმით, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა/საკითხი არ არის ავტორიზაციის რაკურსი, ეს არის პროგრამის აკრედიტაციის რაკურსი და ყველაფერი უნდა ეხებოდეს პროგრამას, ამასთან მიმართებით ინტერვიუების პროცესმა და მოთხოვნილ დოკუმენტებში არსებულმა ინფორმაციამ ცხადყო რომ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხი საჭიროებს დახვეწას, თუმცა შესაძლებელია არსებული ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესისთვის საკმარისი იყო, თუმცა ფარმაციის პროგრამის ინტერნაციონალიზაცასთან დაკავშირებით მათ გასცეს რეკომენდაცია, რადგან ეს მათი აზრით პროგრამასაც გადაახალისებს. მან ასევე მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს და შეახსენა, რომ მათი შეფასება ეფუძნება პროგრამის შესაბამისობის დადგენას სტანდარტებთან და მასში არაფერი პირადი დამოკიდებულებები არ არის. როგორც მან აღნიშნა, ექსპერტების ჯგუფმა, არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, გარკვეული სახის რეკომენდაციები ამოიღეს.

რექტორმა, თეონა ხუფენიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. და აღნიშნა, რომ თითოეული რეკომენდაცია გააუმჯობესებს პროგრამას, მაგრამ ის რომ მან, როგორც რექტორმა აფხაზეთი ახსენა არცერთ შემთხვევაში პოლიტიკური დატვირთვა ამას არ ჰქონდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, თვითონ რომ რექტორი იყოს ამაზე გათვლას აუცილებლად გააკეთებდა.

რექტორმა განაცხადა, რომ მას ნამდვილად არ გაუთვლია თუმცა პროგრამა გათვლილია აფხაზეთზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შესანიშნავია ასეთი გათვლა.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ვერც საბჭოს, ვერც საკუთარ თავს და ვერც უნივერსიტეტს აკადრებს, რომ პროგრამა შემოიტანოს პოლიტიკური საფუძვლით, არავინ მისცემდა მას ამის უფლებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების რექტორმა არასწორად გაიგო მისი ნათქვამი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ, თუნდა უნივერსიტეტს ჰქონდეს გათვლა ამაში ცუდი არაფერი არ არის, პირიქით უნდა ჰქონდეს კიდევ დაწესებულებას ეს გათვლა, რადგან რადიკალიზაციის პლაცდარშია იქ აფხაზეთიდან გადმოსული ახალგაზრდების და ქართველი ახალგაზრდების, ამიტომ ამის საჯაროდ დაფიქსირება ცუდი კი არა კარგია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია დაინტერესდა რამდენად რეალური პროგრამით გაწერილი კომპეტენციებიდან გამომდინარე ფარმაციის ბაკალავრის მიერ კლინიკური ეფექტურობის შეფასება. ასევე, მისი თქმით, ფარმაცოლოგიის სილაბუსში მოძველებულია ლიტერატურა, როგორც მან აღნიშნა ლიტერატურაში ძირითადად მოცემულია გივი თურმანაშვილისა და ხარკვეციხის სახელმძღვანელოები, თუმცა როგორც მან აღნიშნა, არსებობს სრულიად თანამედროვე ინგლისურენოვანი/ქართულად ნათარგმნი სახელმძღვანელოებიც, მაგალითად, კატცუნგი ფარმაცოლოგია - ზოგადი და კერძო. ასევე ის დაინტერესდა შეფასების რომელ სპეციფიკურ მეთოდს იყენებს დაწესებულება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბელა მოსიამ განაცხადა, რომ შეფასება ხდება ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით და იგულისხმება მხოლოდ სიტუაციის შეფასება.

საბჭოს წევრი ჩაეკითხა თუ რას ნიშნავს კლინიკური ეფექტურობა, მისი თქმით ეფექტურობა ფარმაცოლოგმა რომ შეაფასოს გასაგებია, თუმცა ფარმაცევტს რამდენად შეუძლია აღნიშნული შეფასების განხორციელება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ბელა მოსიამ განმარტა, რომ ეს კითხვა ბევრჯერ დასმულა მათთან, ისინი ტერმინში „აფასებს“ ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, გულისხმობენ მაგ., საბანკო სექტორისთვის შეაფასოს სიტუაცია, განსაზღვროს რამდენად დაცულია ძირითადი მოთხოვნები, შესაბამისად შეფასება ზუსტად ამ მიმართულებით განიხილება და არა, როგორც შემფასებელი, როგორც განსაკუთრებული საფეხური. რაც შეეხება ლიტერატურას, მისი თქმით ამ ეტაპზე უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკა აბსოლუტურად განახლებულია.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ გასაგებია, თუმცა არ უწერიათ სილაბუსში და მითითებულია ძველი ლიტერატურა, მან კი უბრალოდ კეთილი სურვილი გამოთქვა და მიანიშნა, რომ შესაწორებელია ლიტერატურა, ეს არ უთქვამს სააკამათოდ. ეს სილაბუსი სამედიცინო უნივერსიტეტის იყო ახლა გადაკეთებულია, რადგან მოძველებულია და მისი რჩევა დაწესებულებამ არ გამოიყენოს, რადგან არ არის მოქმედი. მან გაუმეორა სთხოვა ეპასუხათ კითხვაზე, მეთოდებთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ზარანდიამ ფარმაცევტული კუთხით განმარტა, როგორ აფასებს ამ შემთხვევაში ფარმაცევტი რეცეპტსა და მასში არსებულ კომპონენტებს, ამ შემთხვევაში უხამებს, მან მოიყვანა მარტივი მაგალითი: რამდენიმე რეცეპტით რომ მიდის

ფარმაცევტული დახმარების ერთ-ერთი მეთოდი არის, რომ შეაფასოს არსებული წამლები, რომლებსაც იყენებს ავადმყოფი და მისი პატრონი.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ ავადმყოფი და პატრონი არაფერ შუაშია, ეს არის ექიმის მიერ გაცემული დანიშნულება და მას აინტერესებს რამდენად შედის ფარმაცევტის ბაკალავრის კვალიფიკაციაში, შეაფასოს ექიმის დანიშნულების კლინიკური ეფექტურობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ ზარანდიამ განაცხადა, რომ ეფექტურობა ფასდება გამოწერილი დოზებიდან გამომდინარე, კერძოდ იძლევა თუ არა ის ფარმაცოლოგიურ ეფექტურობას, ჩვეულებრივი, მიღებული პრაქტიკაა, რომ შეიძლება დოზებში შეცდომა იყოს და ამის შეფასება ფარმაცევტს უნდა შეეძლოს.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ, ხანდაზმულების დოზა ექიმებმა არ იციან და ფარმაცევტმა როგორ უნდა შეაფასოს მისთვის გაუგებარია. მან დაწესებულებას სთხოვა მისთვის ეპასუხათ სტუდენტების პრაქტიკური უნარების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებულ კითხვაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დალი დარასელიამ განაცხადა, რომ პრაქტიკოსმა სტუდენტმა უკვე იცის, სამკურნალო ნივთიერებების ერთჯერადი და სადღეღამისო დოზები, მას შეუძლია შეამოწმოს გარკვეული წამლის ფორმები, რამდენად მისაღებია ის ორგანიზმისთვის, შეუძლიათ შეამოწმონ ძლიერმოქმედი მხამიანი ნივთიერების დოზა ასაკის შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბელა მოსიამ, საბჭოს წევრის, გაიანე სიმონიას მესამე კითხვასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ სტუდენტის პრაქტიკული ცოდნის შეფასება ხდება დაკვირვების საფუძველზე. მისი თქმით მათ, განავითარეს პრობლემაზე დაფუძნებული მეთოდი, რომელიც გაწერილია რამდენიმე სილაბუსში და როგორც მან აღნიშნა, თვითონაც ჩართულია ამ პროცესების აღწერაში, როგორც მან აღნიშნა, სტუდენტი აკეთებს საკუთარი ცოდნის დემონსტრირებას, ისინი სტუდენტებს პრაქტიკულად ცდიან ლაბორატორიული საქმიანობის ფარგლებში, რომელსაც აკვირდება ლექტორი და სტუდენტს აფასებს გარკვეული რუბრიკებით.

საბჭოს წევრი, ეკა ეკალაძე დაინტერესდა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ყურადღებით წაკითხა პროგრამა, თვითშეფასება და არგუმენტირებული პოზიცია, შემდეგ ნახა ენვერ არველადის ვიდეო Youtube-ზე, სადაც ინოვაციურ მეთოდად აქვთ განხილული აღმოჩენითი სწავლება, მისი თქმით, ეს იყო ჩვეულებრივი, პრაქტიკული სწავლება, როდესაც დემონსტრაციას აკეთებს პედაგოგი და შემდეგ ერთვება სტუდენტი, აქ ინოვაციური რა იყო მისთვის გაუგებარია, რადგან, ფაქტობრივად ეს არის ის რაც ტრადიციულია. გარდა ამისა იქ მითითებულია PBL-ით სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, რაც არის ძალიან კარგი მეთოდები და იღწვიან, რომ მედიცინაში უფრო მეტად დამკვიდრდეს და საკამოდ რთულად მიდის ეს ყველაფერი, როგორც მან აღნიშნა, არსად არ არის გაწერილი შეფასების მეთოდად PBL - ის გამოყენება და არც პროექტად დაფუძნებული სწავლება, თუ ეს უბრალოდ არის ქეისის მოტანა და პროექტის მიცემა ჯგუფური მეცადინეობისთვის სხვაა, მან სთხოვა დაწესებულებას ახსნან რა მეთოდების გამოყენებით ხდება მათთან სწავლება. რა ტრენინგი გაიარეს ამისთვის მასწავლებლებმა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბელა მოსიამ ყურადღება გაამახვილა იმ ვიდეო მასალაზე, სადაც, საერთაშორისო საანგარიშო მოხსენების დროს, თვითონ იყო ინგლისურენოვანი პრეზენტატორი. მისი თქმით სტუდენტები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

ავითარებენ ჩველებრივ ლაბორატორიულ საქმიანობას და როგორც კი პრობლემას აწყდებიან იქ უკვე პროფესორი ასრულებს ფასილიტატორის როლს. მან საბჭოს წევრებს აჩვენა სახელმძღვანელო, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებზეა, მისი ქართული ვერსია სწავლების ამ მეთოდებზე გაზიარებულია LMS-ის საშუალებით მთელი აკადემიური პერსონალისთვის, აღნიშნულ სახელმძღვანელოსთან ერთად, სპეციალური გადამზადებული ტრენინგების ლინკი, რომელთაც მუდმივად აზიარებენ აღმოჩენებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებს და ამჟამად უნივერსიტეტის ის „სტაფი“, რომელიც ჩართული იყო ტრენინგებში USID-ის სკოლებისთვის 252-მდე პედაგოგისთვის ახორციელებს ამ ტრენინგ პროგრამას, ასე, რომ ეს რეალურად განხორციელებადია, შესაძლებელია სილაბუსებში ტექნიკურად არ გამოჩნდეს, თუმცა ეს არის ის საქმე, რომელსაც რეალურად მიემდვან მის მიერ ნაჩვენები სახელმძღვანელო და სამი წლის განმავლობაში პირადად იყო ჩართული ქართული ვერსიის შემუშავებაში, ასევე აკეთებდა ტრენინგებს და მასთან ერთად ასევე ჩართულები იყვნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები და აკადემიური პერსონალი. მისი თქმით, მათ, პირველად Moodle-ს პლატფორმა უნივერსიტეტში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 3 წლის წინ ონლაინ სწავლებისთვის დაგეგმეს.

დაწესებულების წარმომადგენლის, ენვერ არველადის თქმით, ბავშვებმა იციან ინდიკატორი ლაგმუსი ალურჯებს ტუტებს და აწითლებს მჟავას, მაგრამ არ იცოდნენ რატომ, მაგრამ ლექტორის მიერ შესაბამისი კითხვების დასმით თვითონ მივიდნენ დასკვნამდე, თვითონ აღმოაჩინეს რატომ ხდება ასეთი ეფექტის მიღება, აღნიშნული არ უთქვამს ლექტორს, რადგან ის იყო ფასილიტატორი, ის სვამდა შუალედურ კითხვებს და ის საბოლოო პასუხი რაც ლექციის წინ არ იცოდნენ, ლექციის ბოლოს თვითონ ჩამოაყალიბეს სწორად და გასაგებად.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, ჯანდაცვის კანონმდებლობიდან გამომდინარე, რამდენად არის შესაძლებელი, რომ ფარმაცევტმა დაარედაქტიროს ან შეცვალოს ექიმის რეცეპტი.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ მასაც ეს კითხვა ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დაამატა, რომ მთავარ მიზანში წერია, რომ უნდა მოამზადონ ფარმაცევტი, რომელიც რეცეპტს გადააკეთებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დალი დარასელიამ განმარტა, რომ ფარმაცევტი ეს არის ერთ-ერთი სპეციალისტი, რომელიც უშუალოდ ავადმყოფს ეხმარება გამოჯანმრთელებაში, ექიმი სვამს დიაგნოზს, წერს დანიშნულებას თუ სარეცეპტო პრეპარატია წერს რეცეპტს, შემდეგ ამ რეცეპტით მიმართავს ფარმაცევტს, როგორც მან აღნიშნა ახლა ელექტრონული რეცეპტებია, თუმცა აქვთ სარეცეპტო ბლანკის სამი ფორმა, რომელიც შედის აფთიაქში, როგორც მან აღნიშნა, თვითონ არის ავტორიზებული აფთიაქის ხელმძღვანელი და პრაქტიკოსი ფარმაცევტი. ონკოლოგიურ ავადმყოფზე არის სარეცეპტო ბლანკის პირველი ფორმა - ნარკოტიკულ საშუალებებზე, მეორე ფორმა არის - არანარკოტიკულ საშუალებებზე და მესამე ფორმა არის ყველა დანარჩენ რეცეპტით გამოსაწერ წამლის ტიპზე. ისინი სტუდენტებს აცნობენ, რომ არსებობს ბლანკების ასეთი ფორმები და სამკურნალო პრეპარატები შესაძლებელია გამოწერილი იყოს რეცეპტის ამ ტიპებზე, როდესაც ნარკოტიკულ საშუალებებს ეხება საქმე, დასახელებული უნდა იყოს პრეპარატის დასახელება, დოზები - სადღეღამისო დოზა, ასევე, შესაძლებელია გამოწერილი იყოს შხამიანი/მლიერმოქმედი პრეპარატები, მისი თქმით, გარკვეული წლების განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, რომ ექიმებმა შესაძლებელია დაუშვან მექანიკური შეცდომა, რაც არ გულისხმობს, რომ ექიმი უვიცია და ფარმაცევტი უფრო განათლებული, ორივე იბრძვის იმისთვის, რომ რაციონალურად მიიღონ კარგი შედეგი რათა

უმკურნალონ ავადმყოფს, ამიტომ, აფთიაქში შესული რეცეპტი უნდა ნახოს ფარმაცევტმა, ყურადღება უნდა მიაქციოს რეცეპტის ფორმას და პაციენტის ასაკს, და დოზები მის შესაბამისად უნდა შეამოწმოს, წლების განავლობაში აფთიაქში არსებობდა ჟურნალი, რომელიც ეხებოდა ექიმების მიერ დაშვებულ შეცდომებს, ეხლა კი იმდენად განვითარდა ტექნოლოგიები, რომ თუ კი ფარმაცევტმა ნახა შეცდომა შესაძლებელია დაუკავშირდეს ექიმს და დღესაც ხდება, რომ ექიმები უშვებენ შეცდომებს დოზებში და შემდეგ ფარმაცევტები ასწორებენ.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ მკურნალობაში ფარმაცევტი არ ერევა და ის რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი საუბრობს არის კაზუსტიკა, არ შეიძლება ფარმაცევტის რეგულარულ საქმიანობაში შედიოდეს დანიშნულების შემოწმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დალი დარასელიამ განაცხადა, რომ ფარმაცევტს არ აქვს უფლება შეცვალოს ექიმის დანიშნულება.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია დაეთანხმა, რომ რა თქმა უნდა ფარმაცევტს არ აქვს ექიმის დანიშნულების შეცვლის უფლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დალი დარასელიამ აღნიშნა, რომ მის გარშემო ყველა სტუდენტსა და თანამშრომელს ეუბნება, რომ არავითარ შემთხვევაში ექიმის დანიშნულება არ იცვლება ფარმაცევტის მიერ, მას არც ის მოსწონს, რომ აფთიაქში შედიან და რაღაც პრეპარატს კითხულობენ, ფარმაცევტი კი სხვას სთავაზობს, რადგან ის უფრო ეფექტურია, არც ეს არ არის სწორი ქმედება ფარმაცევტის მხრიდან, რადგან ექიმი ყოველთვის არის პასუხისმგებელი დანიშნულებაზე და ფარმაცევტმა ის უნდა გასცეს, მაგრამ როდესაც პაციენტს შხამიანი/ძლიერმოქმედი ნივთიერების ყიდვა უნდა, ფარმაცევტი ამოწმებს დოზას და თუ რაიმე შეუსაბამობა აღმოაჩინა მან კავშირი უნდა დაამყაროს ექიმთან და მოხდეს დოზის კორექტირება, ავადმყოფმა არ უნდა შეამჩნიოს ეს მომენტი, რადგან არ გამოიწვიოს უნდობლობა, ეს დღესაც მიღებულია პრაქტიკაში, არის შემთხვევები, როდესაც, ექიმს ნულის დასმა ავიწყდება, ცენტრიგრამის მაგივრად დეციგრამს წერს და ა.შ. ფარმაცევტმა ხომ უნდა შეამჩნიოს აღნიშნული.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ აქ საუბარი არაა ცუდზე, მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, არსებობს თუ არა რაიმე კანონი, რომელშიც წერია რომ ფარმაცევტს შეუძლია კორექტივების შეტანა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დალი დარასელიამ აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა არსებობს.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ სთხოვა დაეკონკრეტებინა რომელ კანონში წერია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დალი დარასელიამ განაცხადა, რომ არის კანონი ფარმაცევტულ საქმიანობის შესახებ, რომელიც გამოვიდა 1997 წლის აპრილში, პარლამენტმა დაამტკიცა და პრეზიდენტმა მიიღო.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია ჩაეიკითხა, წერია თუ არა ზემოაღნიშნულ კანონში, რომ ფარმაცევტს/ბაკალავრს შეუძლია შეცვალოს დანიშნულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დალი დარასელიამ აღნიშნა, რომ ბაკალავრმა იცის რომ არსებობს ფარმაცოფი, სადაც არის ჯგუფური და ძირითადი სტატიები, ცალკეული სტატიები, მაგ., უწყინარი „ანალგინის“ ტაბლეტი, რომელიც ხუთ დეციგრამიანი გამოდის, მას არ შეუძლია, რომ 2 ტაბლეტზე მეტი მიიღოს დღეში, ეს ბაკალავრმა რატომ არ უნდა იცოდეს.

მოწმდება ერთჯერადი და სადღეღამისო დოზები, სხვანაირად თუ არ ეცოდინება ფარმაცევტს ექიმის დონეზე წამლები ისინი ვერ ითანამშრომლებენ ექიმთან, და რაციონალური მკურნალობა არ გამოვა.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ მას არ აქვს კომპეტენცია შეეხოს პროგრამის შინაარსობრივ ნაწილს, თუმცა მან ყურადღება გაამახვილა იმ რეკომენდაციების ნაწილზე, რომელიც გულისხმობდა სტუდენტებს, მისი თქმით, რეკომენდაციები, რომლებიც ეხება სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდას, უცხოურ პროექტებს, როგორც მან აღნიშნა, აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტური გაერთიანება არის საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციების წევრი, რომელიც თავის მხრივ არის ევროპის სტუდენტური გაერთიანების წევრი, როგორც მან აღნიშნა ახლაც არის ერთ-ერთი ძალიან კარგი საერთაშორისო პროექტი, რომელიც იმართება ზუგდიდის უნივერსიტეტში, იძულებით გადაადგილებული სტუდენტებისათვის, მათი წახალისების, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის მიზნით, რისთვისაც გამოყოფილია გრანტი, შესაბამისად მისი თქმით, უნივერსიტეტი ამ კუთხით საკმაოდ აქტიურია რასაც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი. ასევე მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციებში, სადაც ფიქსირდება მეტი ჩართულობა, მეტი გარე ხარისხის შეფასება, იქიდან გამომდინარე, რომ ამის მინიმალური ზღვარი დაწესებული არ არის მას მიაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაციები წარმოდგენილი უნდა იყოს რჩევების სახით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ცოტნე სამადაშვილმა განაცხადა, რომ ისინი საუბრობენ სტუდენტების ჩართულობაზე არა მთლიანი უნივერსიტეტის კონტექსტში, არამედ კონკრეტულად, ფარმაციის პროგრამასთან მიმართებით, საქმე ეხება პროგრამის და ამ ფაკულტეტის სტუდენტების ჩართულობას.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ მას რამდენიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აინტერესებდა განმარტება, როგორცაა „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, „პროგრამის საერთაშორისო კვლევებში ჩართულობა“, „ზოგი საგნის შერწყმა და ამოღება“ გაწერილ ნაწილში, რას უთითებენ, რომელი სილაბუსები უნდა გადაკეთდეს, რომელი უნდა შეირწყას, რომელი ამოიღოს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ცოტნე სამადაშვილმა განაცხადა, რომ უკვე დაასახელეს სილაბუსები და მათში არსებული ლიტერატურაც, რადგან მისი აზრით ფარმაკოლოგია ფარმაციის მნიშვნელოვანი დარგია, ასევე, იყო სხვა სილაბუსებიც და ექსპერტების მიერ დასკვნაში ზუსტი თანმიმდევრობაც არის გაწერილი. მისი თქმით, ფარმაციის ბაკალავრის არცერთი სტუდენტი თვითმმართველობაში არ არის, ეს ინტერვიუს შედეგია და დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაიგეს.

რექტორმა, თეონა ხუფენიამ განმარტა, რომ მათი ასარჩევი არ არის რომელი სტუდენტი დაესწრება ინერვიურების პროცესს, მათი ნება რომ იყოს ისინი გასაუბრებისთვის ყველა Erasmus-ის სტუდენტს და თვითმმართველობის წევრებს აირჩევდნენ.

საბჭოს წევრის, მანანა კველიშვილის მოსაზრებით პროგრამა გადატვირთულია ქიმიის სასწავლო კურსებით, იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს საგნების შერწყმასა და ამოღების ნაწილში, მათ აქვთ ორგანული ქიმია (1, 2), არაორგანული ქიმია, სამკურნალო საშუალებები, ორგანული სამკურნალო საშუალებები, მაგრამ სილაბუსების მიხედვით ბევრი საკითხი არის იდენტური, ამიტომ ამდენი საგანი არ არის საჭირო, ასევე ანალიზური ქიმია (1, 2)

ასე დანაწევრება არ არის საჭირო, გასაგებია რომ ერთი თვისობრივია, მეორე რაოდენობრივი, თუმცა შესაძლებელია ერთ სასაწავლო კურსში ისწავლებოდეს ორივე. მისი მოსაზრებით აღნიშნულ რეკომენდაციას თუ გაითვალისწინებენ უკეთესი იქნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ასეთი შენიშვნა წინა აკრედიტაციის დროსაც, თუმცა ისინი ვერ ამოვარდებიან საერთო კონტექსტიდან, თუ კი სხვა უნივერსიტეტებშიც ასეთი მიმდინარეობა და ტენდენციაა რა თქმა უნდა დაექვემდებარებიან, მაგრამ თითქმის ყველა უნივერსიტეტში აღნიშნულ პროგრამებზე, არის ყველაზე ნაკლები დატვირთვა ქიმიამი, ნებისმიერ ფარმაცოფიკაში არის წამალთა იდენტიფიკაციის ანალიზები, ტექნოლოგია და ა.შ. იქ ანალიზური ქიმია 1 - თვისებრივი ანალიზია და არის სრულიად გასხვავებული, ხოლო ანალიზური ქიმია 2 - არის რაოდენობრივი.

დაწესებულების რექტორმა, თეონა ხუფენიამ განმარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დამოკიდებულებაც იყო, რომ ამ მიმართულებით სასწავლო კურსები გაერთიანებულიყო მოდულებში, მაგრამ ეს იყო ამ მიმართულების პროფესორების განსაკუთრებული დამოკიდებულების შედეგი, როგორც მან აღნიშნა, ეს ის შემთხვევაა როდესაც თვითშეფასების ჯგუფში აკადემიური პერსონალის როლი უფრო მძლავრია. მისი თქმით ისინი გაითვალისწინებენ აღნიშნულ რეკომენდაციას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:59
დასრულების დრო: 18:19

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებში შეიტანა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, რამდენიმე რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, რამდენიმე ამოიღო, რამდენიმეს კი შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ კი დაწესებულების მიერ შესასრულებელი რეკომენდაციები გამოიყურება შემდეგნაირად:

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- 1) რეკომენდირებულია მატერიალურ ტექნიკური ბაზის დახვეწა, პროგრამის განახლება და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოდერნიზება, რაც აღწერილ სწავლის შედეგებს უფრო რეალისტურს გახდის;
- 2) რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება;
- 3) რეკომენდებულია პრაქტიკული ნაწილის ზოგადად, ასევე პრაქტიკული კურსის სწავლის შედეგების და სტუდენტთა შეფასების უფრო მეტად ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც გაამარტივებს და იოლს გახდის მათ ინტერპრეტირებას პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.;
- 4) რეკომენდებულია ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი მკაფიოდ (არა ზოგადად) აღწერდეს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას და იყოს უფრო მეტად კონკრეტული და გაზომვადი;
- 5) რეკომენდებულია უფრო მეტი კოორდინაცია და თანამშრომლობა პროგრამის შემუშავებაში ჩართულ მხარეებს შორის;
- 6) რეკომენდებულია, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსები აისახოს/განაწილდეს იერარქიული საფეხურის დაცვით (საბაზისოდან რთულისკენ), მაგ: ფარმაცევტული ინფორმაცია გადავიდეს არჩევითში, ფარმაცევტული დახმარება გადავიდეს ძირითადში საბაკალავრო სწავლების 1 ან 2 სემესტრში, ასევე გადამოწმდეს სასწავლო კურსის სო ციალური ფარმაცია, ფარმ. საქმის ორგანიზაცია და ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“- სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა და სილაბუსის 5 ავტორთან ერთად მოხდეს შეთანხმება სასწავლო კურსის კურიკულუმში ასახვის „მიზნობრიობასთან“ დაკავშირებით;
- 7) სასწავლო პროგრამაში მითითებული სამი ძირითადი საგანი: სოციალური ფარმაცია, ფარმაციული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები შინაარსობრივად ერთი საგანია და სასურველია მათი გაერთიანება ფარმაციული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკის სახელწოდების ქვეშ;
- 8) წამლის ტექნოლოგიის ასეთი სახით დაყოფა: სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია, წამლის სამრეწველო ტექნოლოგია, გალენური პრეპარატების ტექნოლოგია, პროცესები და აპარატები ფარმაცევტულ მრეწველობაში თემატურად და შინაარსობრივად ვერ გადის სწავლის შედეგების კომპეტენციაზე (სასწავლო კურსების დონეების რუკა შედეგებთან);
- 9) არჩევითი საგნიდან უნდა მოხდეს მაპროფილებელი საგნის - ფარმაცევტული ზრუნვის გადმოტანა ძირითადში და ძირითადი საგნების ნუსხიდან ფარმაცევტული ინფორმაციის და ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობის საგნის გადატანა არჩევითში;
- 10) რეკომენდებულია, კურიკულუმში სწორად გაიმიჯნოს და აისახოს სპეციალობის ძირითადი/სავალდებულო/არჩევითი კურსები;
- 11) რეკომენდებულია ახალი სასწავლო დისციპლინების დამატება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთვრებულის დასაქმებას და კარიერულ ზრდას, რეკომენდებულია ახალი მაპროფილებელი საგნების შემოტანა, რომელიც დაეხმარება სტუდენტს ცოდნის დაუფლებასა და დასაქმებაში;
- 12) რეკომენდებულია სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები შერჩეული და მორგებული იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- 13) რეკომენდებულია სწავლის შეფასების სისტემის და მეთოდების დახვეწა და გამრავალფეროვნება;
- 14) აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა;
- 15) სასურველია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების განახლება, რათა უფრო მეტად პასუხობდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას;

- 16) პროგრამის ხელმძღვანელებმა და ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად უნდა წახალისონ სტუდენტების ინიციატივები, რათა მოხდეს მათი ჩართვა სამეცნიერო პროექტებში და უნივერსიტეტის კულტურულ ღონისძიებებში;
- 17) საწარმოო პრაქტიკისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ლაბორატორიების შექმნა და გაუმჯობესება;
- 18) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის განვითარებისა და მიზნით, მნიშვნელოვანია მოხდეს მათი მეტი ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში;
- 19) პროგრამის განხორციელებისათვის და სწავლის შედეგებზე გასასვლელად უსდ საჭიროებს ლაბორატორიების არსებობას, სადაც სტუდენტი შეძლებს მინიმალური პრაქტიკული ჩვევების განვითარებას;
- 20) უსდ საჭიროებს მუდმივად განახლებად ბიბლიოთეკას და სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის მოდერნიზებას;
- 21) სტუდენტთა პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- 22) გადაიხედოს სწავლება/სწავლის მეთოდები სილაბუსებში და ნაჩვენები იქნეს როგორ იზომება მათი გამოყენებით სწავლის შედეგები;
- 23) მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლება/სწავლის იმ მეთოდებს, რომლებიც ანალიტიკური აზროვნების განვითარებას უზრუნველყოფს სტუდენტებში;
- 24) რეკომენდებულია სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება სტუდენტის ცოდნის უკეთესად შეფასების მიზნით;
- 25) შეფასების კომპონენტები და მეთოდები მოვიდეს სასწავლო კურსების სპეციფიკასთან შესაბამისობაში;
- 26) სასწავლო კურსების შეფასებაში დეტალურად გაიწეროს პრაქტიკულ/ ლაბორატორიულ მუშაობებზე სტუდენტის აქტივობის ფორმები და მათი შეფასების კრიტერიუმები;
- 27) სისტემური გამოკითხვის შედეგებზე დაფუძნებული სწავლის პროცესში შეტანის/გაუმჯობესების პროცესის ეტაპობრივი აღწერა.

რჩევები

1. სასურველია დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინება: უცხო ენის ცოდნა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და პრაქტიკული ნაწილის გაზრდა;
2. სასურველია გადამოწმდეს კურიკულუმში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები და სწორად მოხდეს თითოეული კურსისთვის წინაპირობის განსაზღვრა, გათვალისწინებული იქნას კურსის და პროგრამის სპეციფიკა;
3. სასურველია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების განახლება, რათა უფრო მეტად პასუხობდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას;
4. სასურველია მოხდეს წამახალისებელი ღონისძიებების გატარება სტუდენტთა სწავლებისა და აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სტუდენტის მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით;
5. სასურველია მეტი გარე ხარისხის შეფასების ჩატარება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზეც;
6. უსდ საჭიროებს მუდმივად განახლებად ბიბლიოთეკას და სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის მოდერნიზებას.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3² ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

18:25 საათზე სხდომა დატოვა ირაკლი ბურდულმა.

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი გეგენავა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	19.12.2019 გადაწყვეტილება N259
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N68
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველ ანგარიშთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ექსპერტის დასკვნას, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტი ნინო პოპიაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას ევალუბოდა 8 რეკომენდაციის გათვალისწინება, ასევე გაცემული იყო ოთხი რჩევა, როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებამ იმსჯელა ყველა მათგანზე და შეეცადა გაეთვალისწინებინა ისინი, მისი თქმით, რეკომენდაციები რეალურად შესრულებულია, უბრალოდ იყო რამდენიმე ნიუანსი, რომელიც, მიზეზ-შედეგობრივი კავშირია რეკომენდაციების შესრულებასთან და მისი მოვალეობა იყო, აღნიშნულ ნიუანსებზეც გაემახვილებინა ყურადღება. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებამ რეკომენდაციები შეასრულა, ხოლო რაც შეეხება რჩევებს, ანგარიშში ჩანს რომ დაწესებულებას ჰქონდა შესაძლებლობის ფარგლებში კონსულტაციები და გეგმავენ რჩევებთან დაკავშირებით გარკვეულ სიახლეებს.

რეკომენდაციების შესრულების საკითხი დეტალურად:

რეკომენდაცია 1. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედ სტუდენტებს, რომლებიც 2017 წელს და შემდგომ ჩაირიცხნენ, ასევე, დამსაქმებლებს და პოტენციურ დამსაქმებლებს განემართო, რომ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას მოქმედი კანონმდებლობით ვერ გაივლიან ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები. ასევე, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტი ან მაინორ პროგრამას შეეცვალოს სახელწოდება და მიზნები, ვინაიდან ამ პროგრამის ინტეგრირება საბაკალავრო საფეხურზე არ არის მიმდინარე კანონმდებლობასთან შესაბამისი - აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ, ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება მოვიდა მიმდინარე საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამისობაში;

რეკომენდაცია 2. საგნებში: - „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1“ და „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2“ განახლდეს თემატიკა და შეივსოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით - აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლებელია ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად. აღნიშნული სალექციო კურსების სილაბუსების შესწავლისას ჩანს, რომ რამდენიმე ახალი გამოცემა მითითებულია სავალდებულო და

დამატებით ლიტერატურაში, თუმცა რომელ თემებშია ასახული ესა თუ ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო, სილაბუსებში არ არის მითითებული. მნიშვნელოვანია, ბაკალავრიატის საფეხურის სილაბუსებში დეტალურად იყოს გაწერილი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შესაბამისი თავები სილაბუსების თემატიკასთან კავშირში. ასევე, მნიშვნელოვანია საფუძვლიანად გადამუშავდეს აღნიშნული საგნების სილაბუსებში მითითებული თემატიკა თანამედროვე გამოცემებთან მიმართებით, მათ შორის, თემატიკაში აღნიშნული იყოს საკვანძო საკითხები, ასევე, განსახილველი საკითხები, რაც საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს მისცემს განსახილველი თემისა და საკითხების შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას;

რეკომენდაცია 3. საგანში - „ქართული ლიტერატურის ისტორია 4“ სასწავლო კურსის მიზნებში აღნიშნულია, რომ კურსის მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ძირითადი საკითხები და ჩამოთვლილია 50-60 წლების ლიტერატურული თაობა, ხოლო შემდგომ - 90-იანი წლების თაობა. მიზანშეწონილია, დაემატოს 60-70-იანისა და 70-80-იანების თაობა. ასევე, დაზუსტდეს 90-იანი წლების ქართველი ავტორები - აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლებელია ჩაითვალოს შესრულებულად, ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სილაბუსში ჩართული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მითითება თემათა ჩამონათვალში საკითხების კალენდარულ ჩამონათვალში უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს;

რეკომენდაცია 4. საგანში - „ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები“, შეივსოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით - რეკომენდაცია შესაძლებელია ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად. საგანი ემყარება ქართულ-ევროპულ ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების სწავლებას, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი თანამედროვე მეთოდოლოგია და საკითხები ძირითადად, სქემატურად არის მოცემული. თემების ჩამონათვალი ძალზე ზოგადია და არ არის დაკონკრეტებული მრავალი საკითხი, ასევე, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა არ არის მითითებული თემათა ჩამონათვალში, რაც ართულებს დაზუსტებას, რომელი ნაშრომი რომელ თემასთან კავშირში უნდა იყოს განხილული. მიზანშეწონილია, სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს ი. რატიანის, ბ. წიფურისა, ლ. ბრეგაძისა და სხვათა ნაშრომები, რომლებიც ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა და საგნის სპეციფიკისათვის მნიშვნელოვანი და არსებითი რესურსია;

რეკომენდაცია 5. საგანში - „ქართული პალეოგრაფია“, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა განახლდეს ახალი გამოცემებით - რეკომენდაცია შესაძლებელია ჩაითვალოს შესრულებულად;

რეკომენდაცია 6. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო საგან „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ცალკე საკითხად შეტანილ იქნას მითოსის, როგორც ჟანრის დახასიათება, შესაბამისი მითოლოგიური ტექსტების განხილვა-ანალიზით - რეკომენდაცია შესაძლებელია ჩაითვალოს შესრულებულად. სილაბუსში მე-8 კვირაში ცალკე შეტანილია მითითებული თემატიკა;

რეკომენდაცია 7. სილაბუსების ნაწილში არსებობს ტექნიკური ხარვეზები, გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზები - აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლებელია ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად. ზოგიერთ საგანში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ნაწილობრივ, ან არასრულფასოვნად არის მითითებული, რაც გაართულებს

სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოების მოძიებას. ასევე, ზოგიერთ საგანში გვხვდება თემატური და შინაარსობრივი გადაფარვა. კერძოდ, საგანი: „შესავალი ქართულ ფილოლოგიაში“ ნაწილობრივ იმეორებს „პალეოგრაფიის“ თემებს, რაც გასასწორებელია;

რეკომენდაცია 8. ფილოლოგის ბაკალავრის კომპეტენციების შეძენის მიზნით მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომის შეტანა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში - აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლებელია ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად. დაწესებულების ანგარიშს ერთვის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი. საბაკალავრო ნაშრომი სულ 10 კრედიტიანია, ანგარიშს ერთვის შესაბამისი სამართლებრივი აქტები, დადგენილება და დანართები, სადაც განსაზღვრულია საბაკალავრო ნაშრომის მახასიათებლების ნაწილი, სილაბუსში არ არის მითითებული, ციტირების რომელი სტილის მიხედვით უნდა იყოს ნაშრომი დაწერილი. მნიშვნელოვანია, საბაკალავრო ნაშრომის შესახებ არსებულ დოკუმენტაციაში მითითებული იყოს ციტირების სტილი, რც გამოუმუშავენს ბაკალავრის საფეხურის სტუდენტს თანამედროვე კვლევით უნარ-ჩვევებს. ასევე, მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომის შესაბამის დოკუმენტაციაში მითითებული იყოს თემატიკის ჩამონათვალი, რომელიც უნდა მოიცავდეს, ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხებს. სილაბუსის მიხედვით ირკვევა, რომ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 წულით, სადაც ნაშრომის ხელმძღვანელი აფასებს 30 ქულით, რეცენზენტი - 30 ქულით, კომისია კი - 40 ქულით. მიზანშეწონილია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასებიდან ამოღებული იყოს ხელმძღვანელის შეფასება და ნაშრომის რეცენზირებას (შინაარსობრივ მხარეს) დაეთმოს 60 ქულა. სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში მითითებულია, რომ „საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად საჭირო სამეცნიერო ლიტერატურასა და სხვა მასალას, საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის შესაბამისად, შეარჩევს სტუდენტი“. ციტირებულ ჩანაწერთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო ლიტერატურა უნდა შეარჩიონ ნაშრომის ხელმძღვანელმა და სტუდენტმა. მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის როლის გამოკვეთა, მისი თანამონაწილეობის განსაზღვრა საბაკალავრო ნაშრომის დაგეგმვის, ცალკეული ნაწილების დამუშავების, გამთლიანებისა და საბოლოო რედაქტირების საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის, როგორც მან აღნიშნა დაწესებულებ, ექსპერტის მიერ დაფიქსირებულ ყველა მოსაზრებას გაითვალისწინებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:40

დასრულების დრო: 18:41

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	18.12.2019 გადაწყვეტილება N254
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, გორი, ჭავჭავაძის ქ. N68
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველ ანგარიშთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ექსპერტის დასკვნას, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, ინგა დიაკონიმემ განაცხადა, რომ მისთვის მიწოდებული დოკუმენტაციის თანახმად გაცემული იყო 5 რეკომენდაცია, მისი თქმით დაწესებულებამ ხუთივე რეკომენდაცია შეასრულა.

ექსპერტმა დეტალურად განიხილა რეკომენდაციების შესრულება:

რეკომენდაცია 1. სასურველია, გამოყენებითი ინგლისური (როგორც სწავლების, ისე შეფასების მხრივ) დაემატოს საგნების სილაბუსებს. აღნიშნული გულისხმოს მეტ კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე როგორც მასწავლებლებისათვის ასევე სტუდენტებისათვის. აღნიშნული შეაფასებს ინგლისური ენის უნარებს, მათ შორის კრიტიკულ აზროვნებას და მეტყველების უნარს ინგლისურ ენაზე. ამ თვალსაზრისით პროგრამა ასევე მეტად შესაბამისი იქნება დამსაქმებლების მოთხოვნებისა - რეკომენდაცია შესრულებულია, მისი გათვალისწინებით განხორციელდა ცვლილებები შემდეგი სასწავლო კურსებისადვის: ინგლისური ენა I, ინგლისური ენა II, ინგლისური ენა III, ინგლისური ენა IV, ინგლისური ენა V, ინგლისური ენა VI, ინგლისური ენა VII, სილაბუსით გათვალისწინებული ენობრივი კომპეტენციების განმავითარებელ სასწავლო მეთოდებს დაემატა კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპერსონალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები;

რეკომენდაცია 2. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, პროგრამამ სტუდენტებს უნდა შესთავაზოს კურსების მრავალფეროვნება, რომლის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ცოდნის დონეს - რეკომენდაცია შესრულებულია, დაწესებულებამ დაამატა კურსები, კერძოდ „კრიტიკული აზროვნების“ ხუთ კრედიტიანი სასწავლო კურსი, რომლის შინაარსი, მიზნები და შედეგები შეესაბამება და მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე დაემატა „საერთაშორისო ურთიერთობების“ ხუთ კრედიტიანი სასწავლო კურსი, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ ორივე კურსს უძღვება ამერიკელი მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი;

რეკომენდაცია 3. როგორც ინგლისური ენის საგანში). საკითხავი მასალის ჩამონათვალს დაემატოს უფრო მეტი კვლევითი სტატიები - რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ, „თარგმნის თეორია და პრაქტიკა“; .განახლდა შემდეგი სავალდებულო ლიტერატურით: (1) ბერიძე ხათუნა, თარგმანმცოდნეობა. ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018; (2) ალიბეგაშვილი გიორგი, დუდაშვილი ეკა, მღებრიშვილი თამარ, თარგმანის ისტორია. თბილისი, 2017; (3) House Juliane, Translation. Oxford University Press, 2009;

კურსი „ინგლისური ენის ისტორია“ სავალდებულო ლიტერატურა განახლდა შემდეგი დასახელებით: Meurman- solin A., Lopez-Couso M., “Information structure and syntactic change in the history of English”, Oxford University Press, 2012. ინგლისური ენის ლექსიკოლოგია : (1) Plag I.,

Word-formation in English, Cambridge University press, 2018; (2) Davitishvili N., On the Linguo-Cultural Essence of English Phraseolog, Journal of Teaching and Education. Volume 06, Number 06, April 2017, pp. 239-250. USA, University Publications Net, ISSN: 2165-6266.

„შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“ - სავალდებულო ლიტერატურა განახლდა შემდეგი დასახელებით: (1) Kirvalidze, N., A University Course in Text Linguistics (For MA and PhD students of English philology). Tbilisi: Ilia Chavchavadze State University Publishing House, 2008; (2) Murphy, M. L., Lexical Meaning, Cambridge University Press, 2012;

კურსს „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში ბიბლიოგრაფიის ჩამონათვალში დაემატა შემდეგი სამეცნიერო სტატია: Kirvalidze N., Samnidze N., Aesthetic Morality and Intertextuality of Oscar Wilde's THE HAPPY PRINCE AND OTHER TALES, International Journal of Arts and Sciences, 2018.

რეკომენდაცია 4. გარკვეულ შემთხვევებში, გადაიხედოს კრედიტების განაწილება და შეესაბამოს კურსის შინაარსს, მოცულობას და სირთულეს - რეკომენდაცია შესრულდა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ანგარიშის საფუძველზე დასტურდება, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით სასწავლო გეგმაში შევიდა შემდეგი ცვლილება: „ინგლისური ენის ფონეტიკა-აუდირების“ 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი, რომელიც ისწავლებოდა ორი სემესტრის განმავლობაში, შემცირდა 5 კრედიტამდე, წაიკითხება 1 სემესტრის განმავლობაში და ეწოდა „ინგლისური ენის ფონეტიკა“. შეტანილი ცვლილებების შედეგად კურსის შინაარსი და სირთულე სრულ შესაბამისობაშია მის მოცულობასთან, კერძოდ, მასზე მინიჭებულ კრედიტების რაოდენობასთან;

რეკომენდაცია 5. პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია/ შეფასების ტიპები უნდა შეიცავდეს მეტ მრავალფეროვნებას, რათა შეფასდეს უნარების უფრო ფართო მასშტაბები. აღნიშნული მეტ უპირატესობას უზრუნველყოფს ბევრი სხვა უნარის შეძენას, რაც ასე საჭიროა მათ კარიერაში - რეკომენდაცია შესრულებულია, აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად „ინგლისური ენის“ (I, II, III, IV, V, VI, VII) სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ყოველკვირივ აქტივობებს დაემატა კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპერსონალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები (დისკუსია, დებატები, გონებრივი იერიში). 2 ქულით შეფასდება სტუდენტთა ჯგუფური დისკუსია კრიტიკული აზროვნების უნარის გამოყენებით. ასევე, შეფასებათა ტიპების გამრავალფეროვნების მიზნით არჩევითი საგნების, „დარგობრივი ენა: ტურიზმი“, „დარგობრივი ენა: ბიზნეს ინგლისური“, ქვიზების ქულათა საერთო რაოდენობა შემცირდა 10-ით, ხოლო შესაფასებელ აქტივობებს დაემატა 10 ქულიანი პრეზენტაცია, რომელსაც სტუდენტები წარმოადგენენ მე-16 სასწავლო კვირაში. მიგვაჩნია, რომ განხორციელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულს გამოიმუშაოს კარიერული წინსვლისთვის აუცილებელი არაერთი პროფესიული უნარი;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს საქმიანი რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის, რომლებიც წაადგება პროგრამის განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება დაწყების დრო: 18:47

დასრულების დრო: 18:48

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:


აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:50 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

